ოქმი:**ო08.37220211**
თარიღი:**21/01/2022**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2021 წელი, 18 იანვარი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, პ. კიღურაძე, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

2. მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე, განაცხადა, რომ ისინი განაპირობა საქართველოს ორგანულ კანონში - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - განხორციელებულმა ცვლილებებმა, აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას პროექტზე შენიშვნები და წინადადებები საკრებულოში არ შემოსულა, სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს მხარი დაეჭირათ პროექტისათვის, რომელსაც კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი. გააცნო მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში , რომელიც კომისიის წევრებმა მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში მიიღებულ იქნას ცნობად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი